ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
ეროვნული სამართლიანობის
პ ა რ ტ ი ა

[illegible]

# [illegible]

გამოდის 1988 წლის 31 ოქტომბრიდან
[illegible] თვეში ერთხელ

დეკემბერი 1989 — № 4 /10/


სარჩევი


"...პარტიის წევრები მოითხოვენ გათავისუფლებას იმ ფიქტიური ვალდებულებისა და მოვალეობებისაგან, რასაც მათ ე.წ. სამხედრო ფიცის მიღება ანიჭებს არსებული სახელმწიფოს მიმართ..." საქართველოს ეროვნული სამართლიანობის პარტიის განცხადება საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატს, 07.11.1989 წელი. — გვ. 2

"...საერთო-სახალხო კენჭისყრა არის რესპუბლიკის მოქალაქეთა ნების უშუალო გამოხატვისა და კონსენსუსის მიღწევის საშუალება..." საქართველოს ეროვნული სამართლიანობის პარტიის კანონპროექტი საერთო-სახალხო კენჭისყრის /პლებისციტი,რეფერენდუმი/ შესახებ. — გვ. 2

"...საქართველოს რესპუბლიკაში მოქალაქეთა სოციალური გარანტიების სისტემა ემყარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებულ ადამიანის უფლებათა დეკლარაციას, ვენის საბოლოო დოკუმენტს და ამ საკითხებზე მიღებულ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებს..." საქართველოს ეროვნული სამართლიანობის პარტიის კანონპროექტი სოციალური გარანტიების ძირითადი პრინციპების შესახებ. — გვ. 7

"...მეორე მსოფლიო ომის დროს, მეგობრების თხოვნით, მ.წერეთელი კისრულობს გერმანიაში ქართული ეროვნული კომიტეტის ხელმძღვანელობას, რომელშიაც შედიან,'აპრილელები', განსვენებულნი ზურაბ ავალიშვილი და სპირიდონ კედია..." მიხეილ წერეთლის დაბადების 70-ე წლისთავის გამო. — გვ. 9

# ოფიციალური განცხადებები

ქ. თბილისი 07.11.1989 წელი

## განცხადება

საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატს!

ვინაიდან 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთმა წითელი არმიის საშუალებით მოახდინა დამოუკიდებელი სახელმწიფოს-საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსია,

ვინაიდან საქართველოს ანექსიის დღიდან დღემდე საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალებით ტრანსფორმირებული წითელი არმია და საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული მისი ნაწილები რჩებიან ქართველი ერის საერთაშორისოდ აღიარებული უფლებების გაუგონარი შელახვის და მისი სასიცოცხლო ინტერესების სრული იგნორირების ერთ-ერთ უმთავრეს დასაყრდენად, რასაც ადასტურებს საქართველოს გასაბჭოებისა და საბჭოთა პერიოდის მთელი ისტორია,

ვინაიდან ქართველ ერს არ გააჩნია და არსებულ სახელმწიფოებრივ სტრუქტურაში არც შეიძლება გააჩნდეს ორგანიზებული სამხედრო შენაერთები, რომლებიც დაიცავენ მის ეროვნულ ღირსებასა და სახელმწიფო ინტერესებს,

ვინაიდან ზემოთ ხსენებული მიზეზების გამო საბჭოთა შეიარაღებული ძალები საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ფაქტიურად ინარჩუნებენ საოკუპაციო ჯარების სტატუსს, რაც სამართლებრივად არ არის უარყოფილი საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით და დასტურდება რიგი საბჭოთა იურიდიული აქტებით,

ვინაიდან რიგი დანაშაულებრივი ქმედების შემდგომ 1921, 1923, 1924, 1956 წლების სისხლიანი ტერორის განხორციელებით, რომლის დამაგვირგვინებლად გვევლინება 1989 წლის 9 აპრილი, წითელი არმია საქართველოსათვის საზოგადოებრივად საშიშ სახელმწიფოებრივი სისტემის ბარბაროსულ სამხედრო მანქანის გამოხატულებად იქცა, რასაც სხვა მრავალთა შორის ადასტურებს ქართველი ყმაწვილების აქციაც, ვინაიდან საქართველოს ეროვნული სამართლიანობის პარტია არსობრივად ემიჯნება არსებულ სახელმწიფოებრივ დანაშაულებრივ სტრუქტურებს, პარტიის წევრები სრულ თანადგომას უცხადებენ საპროტესტო აქციის მონაწილეებს და შეუძლებლად მიაჩნიათ საბჭოთა შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში ყოფნა-სამსახური. ისინი ცალმხრივად აუქმებენ და დანიშნულებისამებრ აბარებენ სამხედრო ბილეთებს, რის შემდგომ უარს აცხადებენ მორალურად მიღებულ საბჭოთა სამხედრო ფიცზე. პარტიის წევრები მოითხოვენ გათავისუფლებას იმ შიძგიერი უფლებებისა და მოვალეობებისაგან, რასაც მათ ე.წ. სამხედრო ფიცის მიღება ანიჭებდა არსებული სახელმწიფოს მიმართ.

განცხადების გამოქვეყნების დღიდან პარტიის წევრები თავს თვლიან საბჭოთა არმიისათვის არასამხედროვალდებულად.

საქართველოს ეროვნული სამართლიანობის პარტია

# კონცეფცია

პროექტი

## კანონი საერთო - სახალხო კენჭისყრის (პლებისციტი, რეფერენდუმი) შესახებ

მუხლი 1. საერთო-სახალხო კენჭისყრა (პლებისციტი, რეფერენდუმი) არის რესპუბლიკის მოქალაქეთა ნების უშუალო გამოხატვისა და კონსენსუსის მიღწევის საშუალება. ბოიკოტის გამოცხადება საერთო სახალხო კენჭისყრისადმი დაუშვებელია.

მუხლი 2. საერთო-სახალხო კენჭისყრით მიღებულ გადაწყვეტილებას გააჩნია უმაღლესი საკანონმდებლო ძალა და იგი არ შეიძლება შეიზღუდოს ან გაუქმდეს რომელიმე საკანონმდებლო ორგანოს დადგენილების საფუძველზე.

მუხლი 3. საერთო-სახალხო კენჭისყრით მიღებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან, თუ მიღებული გადაწყვეტილებით სხვა ვადა არ არის დაწესებული.

ყველა ის კანონი და ნორმატიული აქტი, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის საერთო-სახალხო კენჭისყრით მიღებულ გადაწყვეტილებასთან, ითვლება გაუქმებულად გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან.

მუხლი 4. საერთო-სახალხო კენჭისყრა ითვლება ჩატარებულად, თუ მასში მონაწილეობა მიიღო კენჭისყრის უფლების მქონე პირთა ნახევარზე მეტმა.

სსკ-ზე გატანილი საკითხი მიიღება, თუ მას მხარს უჭერს კენჭისყრაში მონაწილე პირთა ნახევარზე მეტი. იმ შემთხვევაში, თუ კენჭისყრაში მონაწილეობდა ამ უფლების მქონე პირთა ნახევარზე ნაკლები ან ხმები შუაზე გაიყო, ან ბიულეტენთა სიჭრელის გამო ვერც ერთმა პასუხმა ვერ მიიღო ხმების ნახევარზე მეტი, ან ცალკეულ რაიონებსა თუ უბნებში კენჭისყრა ჩატარდა წილებული კანონის დარღვევით, ან ადგილი ჰქონდა შედეგთა ფალსიფიცირებას, რამაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინა საბოლოო შედეგზე, განმეორებითი კენჭისყრა ინიშნება ცენტრალური კომისიის მიერ 3 თვის ვადაში.

მუხლი 5. სსკ-ში მონაწილეობა არის ამ უფლების მქონე პირთა უშუალო მოქალაქეობრივი მოვალეობა სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობასთან დაკავშირებით. ამ უფლების შეზღუდვა დაუშვებელია, გარდა მოცემულ კანონში გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 6. საერთო-სახალხო კენჭისყრის მზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები კენჭისყრის კომისიებს სარგებლობაში გადასცემენ კენჭისყრის მომზადების, კენჭისყრის კომპანიისა და კენჭისყრის ჩატარებისათვის საჭირო სათავსოებსა და მოწყობილობებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მუხლი 7.** საერთო-სახალხო კენჭისყრა შეიძლება დანიშნულ იქნას:

ა) რესპუბლიკის პრეზიდენტის ინიციატივით;

ბ) რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ინიციატივით;

გ) ამომრჩეველთა მოთხოვნით (პეტიციის საფუძველზე).

**მუხლი 8.** სსკ-ის დანიშვნისა და ჩატარების წესი გამომდინარეობს იქიდან, თუ რა საკითხებს ეხება კენჭისყრის ჩატარების მოთხოვნა.

პირველი ჯგუფის საკითხებია:

ა) კონსტიტუციის შეცვლა ან ახალი კონსტიტუციის მიღება;

ბ) უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსათვის უნდობლობის ვოტუმის გამოცხადება;

გ) რესპუბლიკის პრეზიდენტის გადაყენების მოთხოვნა;

დ) კანონთა მიღება, გაუქმება ან შეცვლა, რომლებიც იწვევენ მოქმედ კონსტიტუციაში შესაბამის შესწორებათა შეტანას.

მეორე ჯგუფის საკითხებია:

ა) კანონთა მიღება, გაუქმება ან შეცვლა, რომლებიც არ იწვევენ მოქმედ კონსტიტუციაში შესწორებათა შეტანას;

ბ) მოთხოვნა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ცალკეულ გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ;

გ) მოქალაქეთა ინტერესებიდან გამომდინარე სხვა საკითხები, რომლებიც არ მოითხოვენ ცალკეულ კანონთა გაუქმებას, შეცვლას ან მიღებას;

**მუხლი 9.** პირველი ჯგუფის საკითხები შეიძლება განხილულ იქნას მხოლოდ და მხოლოდ საერთო-სახალხო კენჭისყრის საშუალებით. მოცემულ საკითხებზე კენჭისყრა ინიშნება, თუ:

ა) მის მოწვევას მოითხოვს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრთა ნახევარი მაინც;

ბ) მის მოწვევას ითხოვს არა ნაკლებ 500 000 ამომრჩეველი.

**მუხლი 10.** მეორე ჯგუფის საკითხები შეიძლება განხილულ იქნას უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ, თუ მის განხილვას მოითხოვს:

ა) რესპუბლიკის პრეზიდენტი;

ბ) უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრთა $1/3$;

გ) 30 000 ამომრჩეველი (სახალხო ინიციატივა).

**მუხლი 11.** უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მეორე ჯგუფის საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების შეცვლის მოთხოვნა კენჭისყრის საშუალებით ან მოცემულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება სსკ-ის ჩატარებით დაისმება, თუ მას ითხოვს:

ა) რესპუბლიკის პრეზიდენტი;

ბ) უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს $1/2$;

გ) 300 000 ამომრჩეველი.

**მუხლი 12.** კენჭისყრის ჩატარება ეკისრება საერთო-სახალხო კენჭისყრის ცენტრალურ კომისიას, რომელიც მოცემული კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ოფიციალური მიმართვის ან პეტიციის საფუძველზე ნიშნავს კენჭისყრას, იღებს დადგენილებას რაიონულ და საუბნო კომისიათა შექმნის შესახებ და აქვეყნებს განცხადებას, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს:

ა) საერთო-სახალხო კენჭისყრის ჩატარების დღე;

ბ) საერთო-სახალხო კენჭისყრის მიერ გადასაწყვეტი საკითხები: თუ საკითხი ეხება კონსტიტუციას ან კანონთა შეცვლას, მიღებას ან გაუქმებას, აქვეყნებს შესაბამის კანონებსა და კანონპროექტთა სრულ ტექსტებს.

**მუხლი 13.** საერთო-სახალხო კენჭისყრის ჩატარების კომპანია იწყება ცენტრალური კომისიის განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

პეტიციური წესით დაყენებული საერთო-სახალხო კენჭისყრა ინიშნება ცენტრალური კომისიის მიერ, თუ დაცულია პეტიციის წარდგენის კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები.

**მუხლი 14.** პეტიციის წარდგენის უფლება აქვს ყოველ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და კავშირებს, აგრეთვე, მოქალაქეთა ჯგუფებს, რისთვისაც ისინი მოვალენი არიან გააკეთონ განცხადება ცენტრალურ კომისიაში და მიიღონ ხელმოწერათა შეგროვებისათვის სპეციალური ბლანკები. ყოველ ბლანკზე აღნიშნულია მათთვის მოკლე ტექსტი. თუ მოთხოვნა ეხება კანონპროექტის მიღებას, ცენტრალური კომისია უზრუნველყოფს კანონპროექტი გამოქვეყნებას, ხოლო ხელმოწერათა ბლანკზე აღინიშნება მხოლოდ კანონპროექტის დასახელება.

**მუხლი 15.** პეტიციის ინიციატორთა მიერ ცენტრალური კომისიიდან ხელმოწერილი ბლანკების მიღება ითვლება ხელმოწერათა დაწყების დღედ. ინიციატორები ვალდებულნი არიან არა უგვიანეს ერთი წლისა დაამთავრონ ხელმოწერათა შეგროვება კანონით გათვალისწინებულ რაოდენობათა დაცვით. ცენტრალურ კომისიას მიღებული დადგენილებით შეუძლია გააგრძელოს პეტიციის ინიციატორების ხელმოწერათა შეგროვების ვადა, მაგრამ არა უმეტეს 3 თვისა.

**მუხლი 16.** პეტიციაზე ხელისმოწერის უფლება აქვს ყველა მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი. ხელმოწერის ბლანკში აღინიშნება მოქალაქის გვარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი ადგილი და დაბადების წელი. შევსებული ბლანკები უბრუნდება ცენტრალურ კომისიას, რომელიც ახდენს მის რიგობრივ დანომვრას, ამოწმებს ხელმოწერათა ნამდვილობას და შედეგებს აცნობს პეტიციის ინიციატორებს.

**მუხლი 17.** ხელმოწერათა დამთავრებიდან ერთი თვის ვადაში, თუ დაცული იქნა კანონის მოთხოვნები, ცენტრალური კომისია პეტიციის ინიციატორებთან შეთანხმებით ნიშნავს საერთო-სახალხო კენჭისყრის ჩატარების დღეს.

**მუხლი 18.** საერთო-სახალხო კენჭისყრის ჩატარება ფარულია. კენჭისყრის მონაწილეთა ნება-სურვილის გამოვლინებისადმი კონტროლი დაუშვებელია.

**მუხლი 19.** კენჭისყრის მონაწილეთა უფლებები თანასწორია. ყველა ამ უფლების მქონე პირს აქვს ერთი ხმა.

**მუხლი 20.** საერთო-სახალხო კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება აქეთ საქართველოს რესპუბლიკაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეებს განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობისა, პარტიულობისა, განათლებისა, რელიგიისა, საქმიანობის სახეობისა და ხასიათისა, რომელთაც კენჭისყრის დღისათვის შეუსრულდათ 18 წელი და არა ნაკლებ 10 წელი მუდმივად ცხოვრობენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

მუხლი 21. კენჭისყრაში არ მონაწილეობენ ის პირები:

ა) რომლებიც დროებით ცხოვრობენ, მუშაობენ ან მსახურობენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე;

ბ) ფსიქიურად დაავადებულნი, რომლებიც ცნობილნი არიან არაქმედუნარიანად;

გ) თავისუფლების აღკვეთის ადგილზე მყოფნი;

დ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მკურნალობის ადგილებში გაგზავნილნი.

მუხლი 22. საერთო-სახალხო კენჭისყრის ჩატარებას ორგანიზაციას უწევენ კენჭისყრის ჩამტარებელი კომისიები:

1. საერთო-სახალხო კენჭისყრის ჩატარების ცენტრალური კომისია,
2. რაიონული კომისიები,
3. საუბნო კომისიები.

კენჭისყრის ჩატარების კომისიები იქმნება საქართველოს რესპუბლიკის ყველა პოლიტიკური ძალის თანასწორუფლებიან და თანაბარწარმომადგენლობით საფუძველზე.

კომისიებში წევრთა 1/3 ირჩევს ხელისუფლების სათავეში მყოფი პარტია მის მხარდამჭერ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ერთად. 1/3 იქნება ხელისუფლების ოპოზიციაში მყოფ პოლიტიკურ ორგანიზაციათა მიერ. 1/3 ქმნის საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე, პოლიტიკური კავშირები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან არც ხელისუფლებას, არც ოპოზიციის ბოლშრე გაერთიანებებს.

კენჭისყრის ჩატარების კომისიათა წევრებად აირჩევიან რესპუბლიკის მოქალაქენი, რომლებმაც მიაღწიეს 21 წლის ასაკს და ამ კანონის მე-20-ე მუხლის საფუძველზე აქვთ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება.

კომისიის წევრის შეცვლა პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციიდან ხდება:

ა) როცა მის გაწვევას მოითხოვს შესაბამისი ორგანიზაციის წევრთა ნახევარზე მეტი,

ბ) თუ წევრის გაწვევას ითხოვს მოცემული კომისიის წევრთა 2/3.

გ) თუ მის მიმართ ძალაში შევიდა სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი.

კომისიის წევრს ყოველთვის აქვს უფლება გავიდეს კომისიის შემადგენლობიდან. კომისიის წევრის ავადმყოფობის ან სხვა შემთხვევაში იგი შეიძლება დროებით შეცვლილ იქნას შესაბამისი ორგანიზაციის სხვა წევრით.

კომისიის წევრები უფლებამოსილებას იძენენ შესაბამისი ორგანიზაციის საერთო კრების (ყრილობის, კონფერენციის, პლენუმის) გადაწყვეტილების საფუძველზე მისი მიღების დღიდან.

მუხლი 23. კენჭისყრის ჩატარების კომისიები თავიანთ მუშაობას წარმართავენ ღიად და საჯაროდ, რასაც უზრუნველყოფს:

ა) კომისიათა წარმომადგენლობითი შემადგენლობა;

ბ) კომისიის სხდომებზე პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ნდობით აღჭურვილ პირთა, აგრეთვე, მასობრივ ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენელთა შეუფერხებელი დასწრება;

გ) კომისიის წევრთა უფლება შეუფერხებლივ და დაუყონებლივ გააკეთონ განცხადებები მასობრივი ინფორმაციის საშუალებით კომისიის მუშაობის ამა თუ იმ მხარის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი კენჭისყრის მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობენ როგორც უშუალოდ, ისე წარმომადგენლებით.

კომისიათა სხდომები ტარდება ღიად, რაც გულისხმობს რესპუბლიკის მოქალაქეთა უფლებას დაესწრონ კენჭისყრასთან დაკავშირებულ ყველა კრებასა და სხდომას, წამოაყენონ წინადადებები და გააკეთონ განცხადებები.

მუხლი 24. კომისიები გადაწყვეტილებებს იღებენ სხდომებზე. გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმათა უმრავლესობით, ღია კენჭისყრით. ფარული კენჭისყრა შეიძლება დაინიშნოს, თუ მას ითხოვს კომისიის წევრთა 2/3 მაინც.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის წევრები, რომელნიც არ ეთანხმებიან კომისიის გადაწყვეტილებას, უფლებამოსილნი არიან გამოთქვან განსაკუთრებული აზრი, რომელიც წერილობითი ფორმით ერთვის სხდომის ოქმს და ეგზავნება განსახილველად ზემდგომ კომისიას.

კომისიათა უფლებამოსილების ფარგლებში მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის.

კომისიის სხდომებს მორიგეობით თავმჯდომარეობენ სამივე მხრის წარმომადგენლები.

კომისიათა გადაწყვეტილებანი შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ საარჩევნო კომისიაში.

სარაიონო და საუბნო კომისიის წევრები კენჭისყრის მომზადებისა და ჩატარების პერიოდში შეიძლება განთავისუფლებულ იქნენ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისაგან, ამასთან, კენჭისყრის ჩატარებისათვის გამოყოფილ სახსრებიდან მიეცეთ საშუალო ხელფასი.

მუხლი 25. კომისიის წევრების მიმართ, მათი უფლებამოსილების პერიოდში, დაუშვებელია სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაპატიმრება ან ადმინისტრაციული სასჯელის სასამართლო წესით დადება, თუ არ იქნა ცენტრალური კომისიის თანხმობა.

მუხლი 26. საერთო-სახალხო კენჭისყრის ცენტრალური კომისია იქმნება 30 წევრისაგან თანასწორუფლებიან და თანაბარწარმომადგენლობით საფუძველზე. ცენტრალური კომისია მუდმივმოქმედი ორგანოა. მის წევრთა უფლებამოსილების ვადა არ განისაზღვრება. ცენტრალური კომისიის წევრები თავისუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წლებიან დაკავებული თანამდებობებიდან და ენიშნებათ გასამრჯელო სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ცენტრალური კომისია მუშაობის პერიოდში დამოუკიდებელია.

ცენტრალური კომისია:

ა) კონტროლს უწევს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ამ კანონის შესრულებასა და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვან გამოყენებას;

ბ) კონტროლს უწევს რაიონულ და საუბნო კომისიათა საქმიანობას;

გ) ადგენს რაიონული და საუბნო კომისიათა შექმნის ვადებს;

დ) წყვეტს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მყოფ რესპუბლიკის მოქალაქეთა კენჭისყრაში მონაწილეობის საკითხებს;

ე) განკარგავს კენჭისყრისათვის გამოყოფილ ფულად სახსრებს და უნაწილებს მის ქვემდგომ კომისიებს. კონტროლს უწევს კომისიათა უზრუნველყოფას შესაბამისი ტრანსპორტით, კავშირგაბმულობით და განიხილავს კენჭისყრის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სხვა საკითხებს;

ვ) ადგენს კენჭისყრისათვის განკუთვნილი ბიულეტენების, კენჭისყრაში მონაწილეთა სიებისა და სხვა დოკუმენტების ფორმებს, კენჭისყრის ყუთების, კომისიათა ბეჭდების ნიმუშებს, აგრეთვე, დოკუმენტაციის შენახვის წესს;

ზ) ისმენს რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების ინფორმაციებს საერთო-სახალხო კენჭისყრის მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

თ) აჯამებს კენჭისყრის შედეგებს და აქვეყნებს ცნობას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით კენჭისყრის შედეგების შესახებ;

ი) წყვეტს რესპუბლიკაში, რაიონებსა თუ ცალკეულ უბნებში განმეორებით კენჭისყრის ჩატარების საკითხს;

კ) განიხილავს ქვემდგომ კომისიათა გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების გამო განცხადებებსა და საჩივრებს, გამოაქვს მათ შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება;

ლ) ახორციელებს კანონით დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 27. რაიონული კომისიები იქმნება ცენტრალური კომისიების დადგენილების საფუძველზე. რაიონული კომისია შედგება 12 წევრისაგან თანასწორუფლებიანობის და თანაბარწარმომადგენლობითი პრინციპით.

საერთო-სახალხო კენჭისყრის ჩატარების რაიონული კომისია:

ა) კონტროლს უწევს რაიონის ტერიტორიაზე ამ კანონის შესრულებას;

ბ) ქმნის კენჭისყრის ჩატარებისთვის უბნებს და წარმართავს საუბნო კომისიათა საქმიანობას;

გ) ისმენს ადგილობრივ აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების, საწარმოდაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელების ინფორმაციებს კენჭისყრის მომზადებასთან და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

დ) კონტროლს უწევს კენჭისყრაში მონაწილე პირთა სიების შედგენას და საყოველთაო გაცნობისათვის მის დროულ წარდგენას;

ე) უზრუნველყოფს საერთო-სახალხო კენჭისყრის ინიციატორთა ნებით აღჭურვილი პირების შეხვედრას კენჭისყრის მონაწილეებთან;

ვ) უზრუნველყოფს საუბნო კომისიათა მომარაგებას კენჭისყრის ბიულეტენებითა და სხვა საჭირო დოკუმენტებით;

ზ) განიხილავს განცხადებებსა და საჩივრებს საუბნო კომისიათა გადაწყვეტილებებისა და მოქმედების შესახებ, იღებს შესაბამის დადგენილებებს;

თ) აჯამებს რაიონში ჩატარებულ კენჭისყრის შედეგებს;

ი) ახორციელებს კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 28. საუბნო კომისიები იქმნებიან რაიონული კომისიების დადგენილების საფუძველზე.

საუბნო კომისია შედგება 6 წევრისაგან თანასწორუფლებიანობის და თანაბარწარმომადგენლობითი პრინციპით.

საუბნო კომისია:

ა) ადგენს და აქვეყნებს უბნის მიხედვით კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა სიებს;

ბ) განიხილავს განცხადებებს სიებში უზუსტობების შესახებ და წყვეტს მასში შესაბამის ცვლილებათა შეტანის საკითხებს;

გ) აუცილებლობის შემთხვევაში აძლევს კენჭისყრის მონაწილე პირებს ხმის მიცემის უფლების მოწმობებს. აუწყებს მოსახლეობას კენჭისყრის დროსა და ადგილს (კენჭისყრამდე 10 დღით ადრე);

დ) უზრუნველყოფს კენჭისყრის მომზადებასა და კენჭისყრის ყუთების დამზადებას;

ე) ორგანიზაციას უწევს ხმის მიცემას კენჭისყრის დღეს;

ვ) ითვლის მიცემულ ხმებს;

ზ) იხილავს განცხადებებსა და საჩივრებს კენჭისყრის მომზადებასა და ჩატარების ორგანიზაციის საკითხებზე, იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს;

თ) ახორციელებს კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 29. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ კენჭისყრის ჩამტარებელ კომისიებს მათი უფლებამოსილების განხორციელებაში, მიაწოდონ მათ მოთხოვნის საფუძველზე შესაბამისი ცნობები და მასალები. კომისიებს უფლება აქვთ მიმართონ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებს, რომლებიც ვალდებულნი არიან განიხილონ დასმული საკითხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პასუხი გასცენ კომისიებს 3 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს კენჭისყრის დღისა.

მუხლი 30. კენჭისყრის მონაწილეთა სიები დგება თითოეული საარჩევნო უბნის მიხედვით და მათ ხელს აწერენ საუბნო კომისიის წევრები. საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ნდობით აღჭურვილი პირები და საზოგადოების წარმომადგენლები უფლებამოსილნი არიან მონაწილეობა მიიღონ სიების შედგენაში.

ქალაქის, ქალაქის რაიონების, რაიონების, სოფლებისა და დაბების აღმასრულებელი ორგანოები უზრუნველყოფენ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა აღრიცხვას და შესაბამის ვადაში საუბნო კომისიებისთვის ამ მონაცემების გადაცემას.

კენჭისყრის მონაწილეთა გვარები სიაში შეაქვთ ხმის მიცემის ორგანიზატორებისათვის მოსახერხებელი წესით. სიაში შეჰყავთ მოცემულ ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები ყველა ის მოქალაქე, რომელიც ამ კანონის მე-20-ე მუხლითაა გათვალისწინებული.

მუხლი 31. კენჭისყრის მონაწილეთა სიები საყოველთაო გაცნობისათვის გამოაქვთ კენჭისყრამდე ერთი თვით ადრე, ხოლო იმ უბნებში, რომლებიც შექმნილია სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში–ორი დღით ადრე კენჭისყრამდე.

მოქალაქეთათვის უზრუნველყოფილია შესაძლებლობა გაეცნონ სიებს და შეამოწმონ მისი შედგენის სისწორე საუბნო კომისიის შენობაში. რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს უფლება ეძლევა გაასაჩივროს სიაში შეუტანლობა, უსწორო შეტანა, სიიდან ამოღება ან მის შესახებ სიაში დაშვებული სხვა უზუსტობანი. სიაში უსწორობის შესახებ განცხადებებს განიხილავს საუბნო კომისია, რომელიც ვალდებულია არა უგვიანეს ორი დღისა, ხოლო კენჭისყრის დღესა და წინა დღეს კი დაუყოვნებლივ განიხილოს განცხადება, შეიტანოს საჭირო შესწორებანი სიაში; უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში განმცხადებელს გასცეს დასაბუთებული ოფიციალური პასუხი.

მუხლი 32. თუ კენჭისყრის მონაწილე პირმა საყოველთაო გაცნობისათვის სიების გამოტანისა და კენჭისყრის დღის შუა პერიოდში შეიცვალა მუდმივი ადგილსამყოფელი, საუბნო კომისია მისი თხოვნით, წარმოდგენილი პასპორტისა თუ მისი პიროვნების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის საფუძველზე, აძლევს კენჭისყრის მონაწილე პირს ხმის მიცემის უფლების მოწმობას. ამასთან, სიაში შეაქვს შესაბამისი აღნიშვნა, რაც დაუყოვნებლივ ეგზავნება რაიონულ და ცენტრალურ კომისიას.

ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე კენჭისყრის მონაწილე პირი შეაქვთ დამატებით სიაში კენჭისყრის დღეს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით.

მუხლი 33. საერთო-სახალხო კენჭისყრის ინიციატორებს ცენტრალური კომისიის მიერ კენჭისყრის დანიშვნის გამოცხადების დღიდან ეძლევათ უფლება შეუფერხებლივ გასწიონ აგიტაცია საერთო-სახალხო კენჭისყრაზე გასატან საკითხთა შესახებ, რისთვისაც მათ შესაბამისი რაიონული და საუბნო კომისიები უთმობენ მოწყობილ შენობებს კრებებისა და მიტინგებისათვის, აგრეთვე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს საერთო-სახალხო კომპანიის ჩატარებისათვის.

დაუშვებელია საერთო-სახალხო კენჭისყრის კომპანიის რაიმე ფორმით შეზღუდვა.

აგიტაცია კენჭისყრის დღეს არ დაიშვება.

მუხლი 34. კენჭისყრა ტარდება კვირას, ან სხვა უქმე დღეს შვიდი საათიდან 20 საათამდე. საუბნო კომისია კენჭისყრის დროსა და ადგილს აცნობს ამომრჩევლებს არა უგვიანეს 10 დღისა კენჭისყრამდე.

მუხლი 35. კენჭისყრა იმართება სპეციალურად გამოყოფილ შენობაში, რომელშიც მოწყობილი უნდა იყოს საკმაო რაოდენობით კაბინები ან ოთახები ფარული კენჭისყრისათვის. უნდა განისაზღვროს კენჭისყრის ბიულეტენთა გაცემის ადგილები და დაიდგას ყუთები. ყუთები კენჭისყრისათვის ისეთნაირად იდგმება, რომ ხმის მიმცემი მათთან მისვლისას აუცილებლად გაიაროს ფარული კენჭისყრის კაბინებს ან ოთახებს.

პასუხისმგებლობა ხმის მიცემის ორგანიზაციისათვის, კენჭისყრის მონაწილეთა ნებასურვილის გამოვლინების საიდუმლოების უზრუნველყოფისათვის, შენობის მოწყობისა და იქ საჭირო წესრიგისათვის ეკისრებათ შესაბამის საუბნო კომისიებს. კენჭისყრის დღეს, ხმის მიცემის დაწყებამდე, კენჭისყრის ყუთებს ამოწმებს და ლუქავს შესაბამისი საუბნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის ყველა წევრისა და სხვა პირების თანდასწრებით.

თითოეული კენჭისყრის მონაწილე ხმას აძლევს პირადად. სხვა პირის ნაცვლად ხმის მიცემა არ დაიშვება. კენჭისყრისათვის ბიულეტენებს იძლევა შესაბამისი საუბნო კომისია პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა მოწმობის წარდგენით, კენჭისყრის მონაწილე პირთა სიის ან ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე. კენჭისყრის ბიულეტენის გაცემის შესახებ სიაში შეაქვთ აღნიშვნა. ხმის მიცემის უფლების მოწმობები ერთვის კენჭისყრის მონაწილეთა დამატებით სიას. იმ შემთხვევაში, როცა ცალკეულ მოქალაქეებს ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა მიზეზების გამო არ შეუძლიათ ხმის მისაცემ შენობაში მისვლა, საუბნო კომისია მათი თხოვნით ავალებს კომისიის მონაწილე სამ წევრს მოაწყონ ხმის მიცემა ამ პირთა ყოფნის ადგილას.

მუხლი 36. ბიულეტენს ხმის მიმცემი ავსებს ფარული კენჭისყრის კაბინასა ან ოთახში. ბიულეტენების შევსებისას აკრძალულია ვინმეს დასწრება. ბიულეტენი უნდა შეიცავდეს კითხვას საერთო-სახალხო კენჭისყრაზე გატანილი საკითხის შესახებ. კითხვის ქვეშ, ბიულეტენის მარცხენა მხარეს მოთავსებული უნდა იყოს პასუხი "დიახ", მის გასწვრივ ბიულეტენის მარჯვენა მხარეს პასუხი "არა"

ხმის მიმცემი თავის შეხედულებისამებრ ამოშლის /ხაზს გადაუსვამს/ ერთ-ერთ პასუხს და დასტოვებს იმ პასუხს, რომელსაც მხარს უჭერს. შევსებულ ბიულეტენს ხმის მიმცემი ჩაუშვებს კენჭისყრისათვის განკუთვნილ ყუთში, რის შემდეგაც სტოვებს კენჭისყრის შენობას, თუ ამავე დროს იგი არაა საერთო-სახალხო კენჭისყრის ინიციატორთა ნდობით აღჭურვილი პირი ან მეთვალყურე.

მუხლი 37. კენჭისყრის უბანში ხმების დათვლა იწყება მას შემდეგ, რაც საუბნო კომისიის თავმჯდომარე გამოაცხადებს, რომ დამთავრდა კენჭისყრა. კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს ვადამდე გამოაცხადოს ხმის მიცემა დამთავრებულად, თუ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ძირითადი სიის ყველა მონაწილემ, მაგრამ არა უადრეს 19 საათისა. კენჭისყრის ყუთების გახსნა ხმის მიცემის დამთავრებამდე აკრძალულია. ყუთების გახსნის წინ ყველა გამოუყენებელ ბიულეტენს ითვლის და აუქმებს საუბნო კომისია. საუბნო კომისია კენჭისყრის მონაწილეთა ძირითად და დამატებით სიათა მიხედვით ადგენს უბანში კენჭისყრის მონაწილეთა საერთო რიცხვს, აგრეთვე, იმ პირთა რიცხვს, რომლებმაც ბიულეტენები მიიღეს. ამის შემდეგ ხდება ყუთების გახსნა. ყუთებში არსებული ბიულეტენების საფუძველზე კომისია ადგენს: ხმის მიცემის მონაწილე პირთა საერთო რიცხვს, საერთო-სახალხო კენჭისყრაზე გატანილი საკითხის მხარდასაჭერად და წინააღმდეგ მიცემულ ხმათა რაოდენობას, ბათილად ცნობილ ბიულეტენთა რიცხვს.

ბათილად ცნობენ დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენებს, აგრეთვე, ბიულეტენებს, რომელშიც არ არის არავითარი აღნიშვნა ან გადაშლილია/გადახაზულია/ ორივე პასუხი, აგრეთვე, თუ ბიულეტენზე გაკეთებული აღნიშვნიდან არ გამომდინარეობს ერთმნიშვნელოვანი პასუხი. ბიულეტენების ბათილობის საკითხს წყვეტს საუბნო კომისია კენჭისყრით.

ხმების დათვლის შემდეგ მის შედეგებს განიხილავენ კომისიის სხდომაზე და შეაქვთ ოქმში. ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი და უგზავნის შესაბამის რაიონულ კომისიას.

ორგანიზაციებს, საზოგადოებრიობას, აგრეთვე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებს უფლება აქვთ თვალყური ადევნონ კომისიების მუშაობას და გააკეთონ შესაბამისი განცხადებები.

მუხლი 38. საუბნო კომისიათა ოქმების საფუძველზე კენჭისყრის რაიონული კომისია განსაზღვრავს: რაიონში კენჭისყრის უფლების მქონე მოქალაქეთა საერთო რიცხვს, ბიულეტენების მიმღებთა რაოდენობას, ხმის მიცემის მონაწილეთა რიცხვს, საერთო-სახალხო კენჭისყრაზე გატანილი საკითხის მხარდასაჭერად და წინააღმდეგ მიცემულ ხმათა რაოდენობას, ბათილად ცნობილ ბიულეტენთა რიცხვს.
შედეგებს განიხილავს სარაიონო კომისიის სხდომაზე და შეაქვს ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი. ოქმი ეგზავნება ცენტრალურ კომისიას.
შედეგებს განიხილავს სარაიონო კომისიის სხდომაზე და შეაქვს ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი. ოქმი ეგზავნება ცენტრალურ კომისიას.

მუხლი 39. კენჭისყრის რაიონულ კომისიათა ოქმების საფუძველზე ცენტრალური კომისია განსაზღვრავს: რესპუბლიკაში კენჭისყრის უფლების მქონე მოქალაქეთა საერთო რიცხვს, ხმის მიცემის მონაწილეთა რიცხვს, საერთო-სახალხო კენჭისყრაზე გატანილი საკითხების მხარდასაჭერად და წინააღმდეგ მიცემულ ხმათა რაოდენობას, ბათილად ცნობილ ბიულეტენთა რიცხვს.

კენჭისყრის საბოლოო შედეგებს აქვეყნებს ცენტრალური კომისია კომისიის ყველა წევრის ხელმოწერით კენჭისყრის დამთავრებიდან სამი დღის ვადაში.

პარტიის პოლიტიკური კოლეგია

---

პროექტი

## სოციალური გარანტიების ძირითადი პრინციპები

1. საქართველოს რესპუბლიკაში მოქალაქეთა სოციალური გარანტიების სისტემა ემყარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებულ ადამიანის უფლებათა დეკლარაციას, ვენის შეხვედრის საბოლოო დოკუმენტს და ამ საკითხებზე მიღებულ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებს.
2. სოციალური გარანტიების სისტემის ძირითადი ამოცანებია: ა. საზოგადოების წევრთა კეთილდღეობის პირდაპირი დამოკიდებულება მის მიერ ფაქტიურად გაწეულ შრომის რაოდენობასთან და კვალიფიკაციასთან; ბ. სხვადასხვა სოციალურ მდგომარეობაში მყოფ ადამიანთა ერთიანი სოციალური გარანტიების უზრუნველყოფა; გ. შრომის უნარიანი მოსახლეობის მთლიანი დასაქმების მიღწევა; დ. პიროვნების და მისი საკუთრების ხელშეუხებლობის გარანტია.
3. საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება თავის საქმიანობას მიმართავს იქით, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა ორიენტირებული იყოს ადამიანზე, რათა მან უზრუნველყოს მისი მოქალაქეების მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილება. იგი პერიოდულად ადგენს ცხოვრების ღირებულების ინდექსს, რომლის ცვალებადობის შესაბამისად იცვლება ხელფასის, პენსიის, სტიპენდიის და სხვა შემოსავლების მოცულობა.
4. სოციალური გარანტიების წყაროს წარმოადგენს ერთიანი და სამხარეო ბიუჯეტები და სოციალური დაზღვევის ფონდი. ეს უკანასკნელი არის ერთიანი, ცენტრალიზებული და იქმნება წარმოება-დაწესებულებათა და მოქალაქეთა აუცილებელი შენატანებისგან. საქართველოს რესპუბლიკის ყველა სრულწლოვანი მოქალაქე ექვემდებარება სოციალურ დაზღვევას.
5. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ ნებაყოფლობით გაერთიანდნენ თავისუფალ პროფესიულ კავშირებში, რომლებიც იცავენ მათ პროფესიულ და სოციალურ უფლებებს.
6. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადგენს შრომის ანაზღაურების მინიმალურ დონეს, სამუშაო დროის მაქსიმალურ და შვებულების მინიმალურ ხანგრძლივობას, რომელთა შესრულება სავალდებულოა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ყველა წარმოება-დაწესებულებისათვის. რესპუბლიკის ყველა მოქალაქე გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ შემოსავლის იმ ოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს, სულ მცირე, საცხოვრებელ მინიმუმს მაინც.
7. საქართველოს რესპუბლიკაში მის მოქალაქეებს აქვთ შ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომის უფლება. დასაქმების სფეროს რესპუბლიკაში ხელმძღვანელობს შრომის ბირჟის სამმართველო; ადგილებზე იქმნება სამხარეო შრომის ბირჟა. ეს სამსახური ძირითადად იმყოფება სამეურნეო ანგარიშზე, თუმცა აუცილებლობის შემთხვევაში ხელისუფლებამ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება მათი საქმიანობის ნაწილობრივად ბიუჯეტური დაფინანსების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედებს კანონი თავისუფალი სამუშაო ადგილების აუცილებელი რეგისტრაციის შესახებ, რის საფუძველზეც რესპუბლიკაში არსებული ყველა წარმოება-დაწესებულება ვალდებულია გაუგზავნოს შეტყობინება სამხარეო შრომის ბირჟის სამსახურს თავისუფალი სამუშაო ადგილების არსებობის შესახებ, აგრეთვე, იმ პირთა სია, რომლებიც წარმოების რეორგანიზაციის შემთხვევაში აღმოჩნდებიან უმუშევართა რიგებში. შრომის ბირჟა რეგისტრაციაში ატარებს არა მარტო უმუშევრებს, არამედ მუშაკებსაც, რომლებსაც აქვთ სამსახურის შეცვლის სურვილი.

შრომის ბირჟის სამმართველო ქმნის პროფორიენტაციის ცენტრებს, რომლებიც ემსახურებიან მუშაკთა მომზადებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, გადამზადებას, ახალი პროფესიის ათვისებას და ა. შ., რომელთა საქმიანობის დაფინანსება ხდება წარმოება-დაწესებულებებთან დადებული ხელშეკრულებებისა და აუცილებელ შემთხვევაში ბიუჯეტური დაფინანსების ხარჯზე.

შრომის ბირჟის სამმართველოს საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქრონიკული ავადმყოფებისა და ინვალიდებისათვის სამუშაო ადგილების მოძებნას და აუცილებლობის შემთხვევაში მათთვის «დახურული სახელოსნოების» შექმნას.

8. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე ითვლება უმუშევრად სამსახურიდან განთავისუფლების მეორე დღიდანვე და მასზე გაიცემა უმუშევრობის დახმარება. საკუთარი სურვილით სამსახურიდან განთავისუფლებულ მუშაკზე უმუშევრობის დახმარება არ გაიცემა . ისინი ვალდებულნი არიან რეგულარულად გაიარონ რეგისტრაცია შრომის ბირჟაზე.

დახმარების გაცემის მაქსიმალური პერიოდი შეადგენს 200 დღეს. მისი ზომა დამოკიდებულია დაკარგული შემოსავლის სიდიდეზე. იგი არ შეიძლება იყოს საცხოვრებელ მინიმუმზე ნაკლები და მისი მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საცხოვრებელ მინიმუმს 3-ჯერ.

საწარმოს ან დაწესებულების ინიციატივით სამსახურიდან პიროვნების განთავისუფლება, შტატების შემცირება, რეორგანიზაცია აუცილებლად უნდა იქნეს შეთანხმებული პროფკავშირებთან.

9. საქართველოს რესპუბლიკაში გაიცემა სამი სახის ძირითადი პენსია: ა. მოხუცებულობის ბ. არაშრომისუნარიანობის ინვალიდობის გ. საოჯახო მარჩენალის დაკარგვის გამო .

საპენსიო ასაკად დადგენილია 65 წელი და ქალებისათვის 60 წელი, თუმცა მათ უფლება აქვთ პენსია მიიღონ გაცილებით ადრე: მამაკაცებმა 58 წლიდან, და ქალებმა 53 წლიდან , მაგრამ ამ შემთხვევაში პენსიის ოდენობა მცირდება ყოველ წელიწადზე, რამდენიც აკლია საპენსიო ასაკს, საპენსიო თანხის 3%-ით; თუ საპენსიო ასაკს მიღწეული ადამიანი აგრძელებს მუშაობას, მასზე პენსია არ გაიცემა, მაგრამ საპენსიო ასაკის ყოველ გადაცილებულ წელიწადზე პენსიის ოდენობა იზრდება 3 %-ით.

მოხუცებულობის პენსია არის ძირითადი პენსია და იგი მოიცავს ორ ნაწილს: ა/ საერთო პენსიას და ბ/ დამატებით პენსიას - მუშაობის ხანგრძლივობის /სტაჟის/ გამო. საერთო პენსია გაიცემა საქართველოს ყველა მოქალაქეზე შრომითი საქმიანობისა და მუშაობის სტაჟის გათვალისწინების გარეშე. ეს არის ერთიანი პენსია ყველასათვის და უნდა შეადგენდეს საცხოვრებელი მინიმუმის არა ნაკლებ 75 პროცენტს. ამ სახის პენსიას ღებულობენ, აგრეთვე, დაბადებიდან ინვალიდები.

წლების ნამსახურებისათვის დამატებითი პენსიის მიღების მთავარი პირობა არის ის, რომ პიროვნება უნდა მუშაობდეს დაქირავებულად არა ნაკლებ 15 წლისა ან უნდა ეწეოდეს სამეურნეო საქმიანობას. მისი სიდიდის განსაზღვრისათვის გამოიყენება კოეფიციენტების სისტემა, რომელიც დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ ნამუშევარი წლების რაოდენობაზე.

არაშრომისუუნარობისა და საოჯახო პენსიის სიდიდე დამოკიდებულია პიროვნების შემოსავალზე და იგი არ შეიძლება იყოს საცხოვრებელ მინიმუმზე ნაკლები.

10. საქართველოს რესპუბლიკაში მის მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ დროებითი შრომისუუნარობის /ავადმყოფობის/ დახმარება. იგი შეიძლება გაიცეს წლის განმავლობაში არა უმეტეს 120 დღეზე და უნდა შეადგენდეს შემოსავლის არა ნაკლებ 90 პროცენტს. ამ დახმარების მიღებისათვის არ არის აუცილებელი პროფესიული კავშირის წევრობა

II. დახმარება ორსულ ქალებზე გაიცემა ბავშვის დაბადებამდე 75 დღით ადრე ავადმყოფობის დახმარების მოცულობით. ბავშვის მოვლისათვის ერთ-ერთ მშობელს /მათი შეთანხმების საფუძველზე/ უფლება აქვს მიიღოს 365 დღიანი ფასიანი შვებულება /ბავშვის I წლის ასაკის მიღწევამდე/, რომელიც ასევე შეადგენს ავადმყოფობის დახმარების დონეს და 365 დღიანი უფასო შვებულება. ტყუპების დაბადების შემთხვევაში მატერიალური დახმარების გაცემის ხანგრძლივობა დამატებით იზრდება 180 დღით, სამი ბავშვის - 360 დღით.

ბავშვის ან მშობლის ავადმყოფობის დროს, რომელიც უვლის ბავშვს, გაიცემა დროებით დახმარება ავადმყოფობის დახმარების მოცულობით. ორივე მშობელს უფლება აქვს მიიღოს იგი წელიწადში 45 დღის ოდენობით /ორივემ ერთად/ ერთ ბავშვზე 12 წლის ასაკამდე ყოველგვარი ცნობის გარეშე, ხოლო 12-დან 16 წლამდე ექიმის დასკვნის საფუძველზე.

მრავალშვილიან ქართულ ოჯახებზე გაიცემა მატერიალური დახმარება.

12. საქართველოს რესპუბლიკაში მიღებულია 8 კლასიანი აუცილებელი განათლება, რომელიც არის უფასო. მაღალ კლასებში, სპეციალურ გიმნაზიებში, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება ფასიანია.

უფროსკლასელებზე /16 წლის ასაკს ზევით/, საშუალო, ტექნიკური სწავლების მოსწავლეებზე და უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებზე გაიცემა სტიპენდიები, რომლებიც უნდა შეადგენდნენ საცხოვრებელი მინიმუმის არა ნაკლებ 50 პროცენტს. უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს უფლება აქვთ მიიღონ, აგრეთვე, ყოველთვიური სესხი საცხოვრებელი მინიმუმის დონის ოდენობით, რომლის გადახდა იწყება სწავლის დამთავრებიდან 2 წლის შემდეგ და შეიძლება გაგრძელდეს 20 წლის განმავლობაში.

13. საქართველოს რესპუბლიკაში სამედიცინო მომსახურება, როგორც წესი, ფასიანია; გარდა ამისა, მცირეშემოსავლიანი ოჯახებისათვის გათვალისწინებულია უფასო სამედიცინო მომსახურება. უფასოა აქ, აგრეთვე, სასწრაფო სამედიცინო და გადაუდებელი დახმარება.

14. საქართველოს რესპუბლიკაში სამუშაო კვირა არ უნდა აღემატებოდეს 40 საათს, ფასიანი შვებულება - არა ნაკლებ 25 სამუშაო ან 35 კალენდარული დღისა. შვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიულეტენის თანხა გამოითვლება საშუალო დღიური შემოსავლიდან გამომდინარე. შვებულება პიროვნების სურვილით შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად: ე.წ. ზაფხულისა და ზამთრის შვებულებებად. პროფესიული კავშირისა და ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით მუშაკის სამკურნალოდ გაგზავნის და მკურნალობის /პროფესიული დაავადების მკურნალობის, მისი პროფილაქტიკის და ა.შ./ პერიოდი შვებულების ანგარიშში არ ჩაითვლება.

15. საგადასახადო სისტემა აგებულია პროგრესული შკალის მიხედვით. იგი სტიმულს უნდა აძლევდეს ადამიანს აიმაღლოს კვალიფიკაცია, რაც პირდაპირ დაკავშირებული უნდა იყოს მის რეალურ შემოსავალთან. გადასახადების მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შემოსავლის 35 პროცენტს.

# წერილები

## მიხეილ წერეთელი

/"ბედი ქართლისა" №3-4, 1948წ./

23 დეკემბერს შეუსრულდა 70 წელი ჩვენს დიდ მამულიშვილს და მეცნიერს მიხეილ წერეთელს.

იმდენად მდიდარია და მრავალფეროვანი მისი მოღვაწეობა ნახევარი საუკუნის მანძილზე, როგორც სამეცნიერო, ისე ეროვნული ბრძოლის ასპარეზზე, რომ ამის ვრცლად გადმოცემა «ბედი ქართლისას» ფურცლებზე შეუძლებელია. უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ მისი ცხოვრების მთავარ მომენტთა აღნიშვნით.

მიხეილი დაიბადა 23 დეკემბერს 1878 წელს სოფ. ცხუკვეთში, ზემო იმერეთში. ამ სოფლის წერეთლების ოჯახში, განსაკუთრებით მიხეილის მამისა და მისი ორი ძმისა, დიდი ტრადიცია იყო დაცული ქართული მწიგნობრობისა და საზოგადოდ ქართველობისა. «ვეფხის ტყაოსანი» იქ კაცმა და ქალმა ზეპირად იცოდა, და პატარა მიხეილს, ჯერ კიდევ წერა-კითხვას არ მცოდნეს, ადგილები მოჰყავდა ვეფხის ტყაოსნიდან» სტუმრების შესაქცევად.

ქ. ქუთაისში კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მიხეილ წერეთელი სწავლობდა კიევის უნივერსიტეტის ბუნების მეტყველების ფაკულტეტზე, საიდანაც 1900 წ. პოლიტიკურ გამოსვლებში მონაწილეობის მიღებისათვის გამორიცხულ იქნა. ერთი წლის შემდეგ მიხეილი შედის პარიზის უნივერსიტეტში, მაგრამ არც აქ სწყალობს მას ბედი: ერთს საჯარო დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის იძულებულია დასტოვოს პარიზი და გადავიდეს ლონდონში. შემდეგ ის განაგრძობს სწავლას ჟენევის უნივერსიტეტში, ამავე დროს უერთდება პარიზში მყოფ გ. დეკანოზიშვილის ჯგუფს და 1904 წ. ესწრება ფედერალისტთა პარტიის კონგრესს ჟენევაში. იმავე წელს გ. დეკანოზიშვილის დავალებით მიხეილი მოემგზავრება საქართველოში, ასრულებს დაკისრებულ მისიას და ბრუნდება უკან. 1905 წ. იგი ისევ საქართველოშია და მუშაობს ფედერალისტებთან ერთად.

1908 წ. მიხეილ წერეთელი აწარმოებს მუშაობას სტამბოლში დიდი გავლენისა და მდგომარეობის მქონე მაჰმადიან ქართველებთან, რომელთაგან ბევრმა დიდი დახმარება გაუწია საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს, რომელსაც იგი პირველი დიდი ომის დროს ოსმალეთში მოქმედებდა. ამავე წელს მიხეილი ბრუნდება ტფილისში და პეტრე სურგულაძესთან, ვალერიან გუნიასთან და სხვებთან ერთად აარსებს საიდუმლო ჯგუფს საქართველოს დამოუკიდებლობისა, რომლის ორგანო იყო «ერი» და რომელიც ცენზურისაგან ხშირად დახურული სხვადასხვა სახელით გამოდიოდა.

1910 წ., როდესაც დიდი დევნა იყო ქართველ ნაციონალისტთა და ბევრი მამულიშვილი გადაასახლეს რუსებმა, მიხეილი მიდის ლონდონში, პ. სურგულაძე კი ჟენევაში, სადაც მან ძმ. კერესელიძეებთან ერთად განაახლა დამოუკიდებლობის ჯგუფი და გამოსცა გაზეთი «თავისუფალი საქართველო».

ლონდონში ყოფნის დროს მიხეილი იწყებს აღმოსავლეთის მეცნიერების შესწავლას, რასაც განაგრძობს გერმანიაში ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში. აქ ის ეცნობა ასირიოლოგიას, საზოგადოდ სემიტურ ფილოლოგიას, ეგვიპტოლოგიას, აღმოსავლეთის ისტორიას და კულტურას; ამთავრებს სწავლას და ღებულობს დოქტორის ხარისხს.

1914 წ., ომის გამოცხადებისთანავე «დამოუკიდებლობის ჯგუფი» გაცხოველებულ მუშაობას იწყებს, არსდება დამოუკიდებლობის კომიტეტი, სადაც მ. წერეთელი დიდ როლს თამაშობს. გერმანიაში მოქმედებენ მასთან ერთად გ. მაჩაბელი და გ. კერესელიძე. დანარჩენნი წევრები კომიტეტისა მუშაობენ ოსმალეთში.

1916 წ. ლოზანაში იმართება «ეროვნებათა კავშირის» კონგრესი. იქ მიხეილია საქართველოს წარმომადგენელი.

1917 წ., ომის ქარტეხილის დროს, მ. წერეთელი მოემგზავრება საქართველოში წყალქვეშა ნავით მელიტონ ქარციაძესთან ერთად სხვადასხვა დავალებებით. ერთი წლის შემდეგ ხელმეორედ მიდის იგი ისევ წყალქვეშა ნავით სამშობლოში.

1918 წ. საქართველო თავისუფალია, გერმანიაში ჩამოდის მისი დელეგაცია და აქ თავდება მუშაობა დამოუკიდებლობის კომიტეტისა.

1918-1919 წ. მიხეილს ვხედავთ საქართველოს წარმომადგენლად სკანდინავიაში.

1920 წ. იგი მიწვეულ იქნა ტფილისის უნივერსიტეტში ასირიოლოგიისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის პროფესორად.

დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, მიხეილი ბრუნდება ბერლინში; ორი წლის განმავლობაში მას უკავია კათედრა ასირიოლოგიისა და ქართული ენისა ბრუსელის უნივერსიტეტში, ხოლო 1933 წლიდან 1943-მდე ბერლინის უნივერსიტეტში - ქართული ენისა და მწერლობისა.

მეორე მსოფლიო ომის დროს, მეგობრების თხოვნით, მ. წერეთელი კისრულობს გერმანიაში ქართული ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარეობას, რომელშიაც შედიან, აგრეთვე, განსვენებული ზურაბ ავალიშვილი და სპირიდონ კედია. მუშაობის პირობები ახლა გაცილებით უფრო რთულია და ძნელი, ვინემ ეს პირველი ომის დროს იყო. კომიტეტი იცავს ღირსეულად და უკომპრომისოდ საქართველოს უფლებებს, ხოლო მიზანს ვერ აღწევს. მიხეილი შლის მას და თავის თანამშრომლებთან ერთად სწყვეტს ყოველგვარ კავშირს გერმანულ ხელისუფლებასთან.

პოლიტიკურ მუშაობასთან ერთად, მიხეილმა საზღვარგარეთ დიდი მეცნიერული მუშაობაც გასწია. ამის შესახებ სხვა დროს გვექნება საუბარი. აქ კი აღვნიშნავთ შემდეგს: როდესაც გამოქვეყნდება ყველა მისი შრომა და გამოკვლევა, განცვიფრებაში და აღფრთოვანებაში მოვა არა მარტო ემიგრაცია, არამედ მთელი საქართველოც; იმდენად დიდია, ახალი და მნიშვნელოვანი ეს გამოკვლევანი ჩვენი ქვეყნისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილი მუდამ არაჩვეულებრივ სიყვარულს და მოკრძალებას იჩენდა მეცნიერებისადმი, ხოლო ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მეცნიერებას არასოდეს დაუჩრდილავს მისი დიდი პატრიოტული შეგნება მოვალეობისა ერის წინაშე, რომელსაც იგი ყოველთვის ყველაფერზე მაღლა აყენებდა. «არიან მოვალეობანი ადამიანისა უმაღლესნი ყოველმეცნიერულ და მსგავს მოვალეობათა, სწერს მიხეილ წერეთელი, მოვალეობანი მოქალაქისა საზოგადოების წინაშე, მოყვასისა მოყვასის წინაშე და ცხოვრების გზას იგი განვლის სრულის ღირსებით, ვისაც ძალუძს განსაზღვრულ დროს შესაფერი მოვალეობა აღასრულოს, თუ ვინც ეს მოვალეობის აღსრულება მისი სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვასაც მოითხოვდეს.»

სწორედ ამით დაიმსახურა მიხეილ წერეთელმა უსაზღვრო პატივისცემა თანამემამულეთა, რომ სამშობლოს თავისუფლება და წარმატება თავის არსებობის საფუძვლად მიაჩნდა და კლდესავით იდგა ეროვნული აზროვნების სადარაჯოზე. წამებით განვლო მან ნახევარი საუკუნე და ჯოჯოხეთურ პირობებიდან ქართული სიტყვა, ქართული სული გამოიტანა და დაიცვა. ყოველი მისი მოქმედება და ნაბიჯი ამკობს ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიას.

უფლებააყრილ საქართველოში მისი სიტყვა მეხივით მქუხდა და ეროვნულ ბრძოლას ცეცხლის ენერგიას აძლევდა. განა შეიძლება სხვა რომელიმე, ან ვისიმე სიტყვა შეედაროს მის სიტყვას, რომელიც მან ერის წინამძღოლს და ზრახვათა მცნობელს ილიას, ჩვენი წამხდომისა და სიგიჟის მსხვერპლს, ტფილისში ჩამოსვენებისას რომ უთხრა.

დამონებულ სამშობლოში, როდესაც ერი თვით უარს ამბობს თავის თავზე, მიხეილის მძლავრი და მჭრელი წერილები იბეჭდება ფედერალისტების მაშინდელ პრესაში. იგი იცავს ქართულ ეროვნულ სულს, გამოდის საუკეთესო თეორეტიკოსად ეროვნულ საკითხში და შეუდარებელი პუბლიცისტი, მოურიდებლად ამხელს ერის უჯიშო შვილთ.

მისი წიგნი «ერი და კაცობრიობა» უდიდესი შენაძენი იყო, რომელიც მან ეროვნულ იდეის უარმყოფელთ ესროლა. დიდ ილიას მიმდევარმა ერთადერთ რეალობად ერი აღიარა და ეროვნული პრობლემა მეცნიერმეტყველურად დაასაბუთა. «ერი და კაცობრიობა» გადაიქცა მებრძოლი თაობის სახელმძღვანელო წიგნად, მის გამწრთვნელად და აღმზრდელად.

მიხეილი საქართველოს სიდიადეს ძველ წარსულში ეძებს, მისი იდეალი არ არის მარტო დამოუკიდებლობის მოპოვება, არამედ აღდგენა ძველი საქართველოსი. «ქართველი ერის ძველი სამკვიდრებელი საუკუნეთა განმავლობაში ბრძოლის ველი საქართველოსი და მის მებრძოლთა, ამჟამს იგი ერთერთ წერტილში, და მიუხედავად იმისა, რომ ის ხან მტერს რჩება, ხან მის კანონიერ პატრონს, მიუხედავად იმისა, რომ იქ ქართველობამაც იკლო და ნაწილი მისი უცხოს ხელშია, საქართველო მას მაინც დაკარგულად არ სთვლის, ვერც ჩასთვლის, და მისი დაბრუნება და კვლავ გაქართველება, შექმნა ძველი საქართველოსი არის და იქნება მუდმივი მისწრაფება ქართველისა, მუდმივი პოლიტიკური იდეალი მისი, რომელიც მას აძლევს ძალას, სიამაყეს და რწმენას თვისი ერის მომავლისა. ძალა თვით ეს რწმენაა, ეს იდეაა ძველი საქართველოს აღდგენისა, უამისოდ თვით საქართველოს იდეა არარაობაა. სანამდეიდე რას მოგვიტანს ბედი, სულ სხვაა, მაგრამ იდეა, ეველი უცვლელი უნდა რჩებოდეს, როგორც ძალა ქართველთა შეურიგებლობათა მამოძრავებელი». და ამ დიად იდეის სამსახურში მიხეილ წერეთელმა მთელი თავისი სიცოცხლე, ნიჭი, ქონება და ალევს.

უმაღლეს სისრულემდე მიღწეული კულტურის მატარებელი იგი, ეგრეთვე უდიდესად ფაქიზი და სპეტაკი სულის პატრონია. მიუხედავად უძნელესი საარსებო პირობებისა, მიუხედავად იმისა, რომ გზა მუდამ ეკლიანი და სიმწარით აღსავსე ჰქონდა, მიხეილი შორსაა ცხოვრების ყოველდღიურ სიტლანქისაგან და სიმახინჯისაგან და დგას ნათელ მაღლობზე ერის ერთგულ გუშაგად და მექომაგედ.

როგორც ვიცით, მეტი ნაწილი თავის ცხოვრებისა მან უცხოეთში გაატარა, მაგრამ იგი მუდამ იყო და დარჩა მესაიდუმლედ ქართველი ერის ტანჯული გულისა.

«მარად და ყველგან საქართველო,
მე ვარ შენთანა,
შენი სისხლითა გული სრულად
გარდამებანა».

მწარეა ხვედრი ქართველ მამულიშვილთა, მაგრამ განსაკუთრებით მწარეა შენი ბედი, საყვარელო მიხეილ.

უცხოეთში, შორს მშობლიურ სახლ-კარიდან, განმარტოვებული ხვდები შენს იუბილეს.

შენი ძვირფასი ერი სალამს ვერ გიძღვნის და შენს დაბადების დღეს ვერ დღესასწაულობს.

ვერც შენი ერთადერთი შვილი თამარი, შენი ხელით სიმწარეში გამოზრდილი, გაგახარებს და დაგიკოცნის სამშობლოსათვის ფიქრით და დარდით დასერილ სახეს.

ჩვენც, შენი ახლო მეგობრები, შორს ვართ შენგან და არ შეგვიძლია გაგათბოთ ჩვენი შენდამი უსაზღვრო სიყვარულით.

ნუგეშად მაინც მიიღე ის, რომ უცხოეთში მყოფ ქართველმა მოღვაწეებმა, ყველა წრისა, დიდი პატივისცემით და თბილი გრძნობით 70 წლის შესრულება მოგილოცეს და დღეგრძელობა გისურვეს.

ერთ დღეს საქართველოც გეტყვის სიტყვას.

ბედი ქართლისა ჯერ არ გაწყვეტილა.

კ. სალია

## მიხაკო წერეთლის 70 წლისათვის

სათნოებითა წარმართე ყოველი
ცხოვრება შენი და... აღწერე ქართველსა ერსა...
შიო მღვიმელის ტროპარიდან

უპატრონობის მოწყობილისა და დაკნინებულ ცხოვრების პირობებში, პაპირუს სამწყება, ითწყება წერილებიდან მოშიშნებული არც არის საკვირველი, თუ შესანიშნავნი და დიდხით საცსენი თარიღნი გამოეპარა. «ბედი ქართლისა»-ს მესამე ნომერი შემთხვევით მაქვს ხელთ, ხოლო მის ფურცლებზე აღწერილმა სადღესასწაულო ამბებმა და მოღვაწეთა სახელებმა სიამე და მასთანავე განუყრელად სევდაც ჩამოიტანეს გულში; კვლავ გაისმა დაბნელებულ ქვეყანაში ძველთაგანძველი გამამხნევებელი ქართული ხმა, თითქოს დიდი ილიას «ივერია» ამოეკითხოს! ვარნა ივერიის ძეთა-კი წართმეული აქვთ შესაძლებლობა შეისმინონ მახინჯაყრილი ქართული, აქ აღწერილი...

1905 წელი. ფოთში ვარ თექვსმეტი წლისა, გაფიცული სოციალდემოკრატი, სკოლიდან გამოგდებული, გამწარებულმა ჩემმა ძმამ, საკათედრო ტაძრის წინამძღვარმა, მოიწადინა ჩემი გამოსწორება უგანათლებულესი ეპისკოპოსის, დიმიტრი აბაშიძის რჩევითა და დარიგებითა; ყოვლად უსამღვდელოესის ნათქვამი ჩემს გულს არა სწვდებოდა, მე თვალი უფრო გოგინეიშვილის საბუღალტრო კურსებისაკენ მეჭირა, სადაც ჩემი მწვრთნელის მარქსიზმში, ვიქტორ თევზაძის ლექციები იყო გამოცხადებული.

შემოდგომის ერთ ნესტგაჟღენთილ დღეს ფოთის ბულვარს ზღვა ხალხი მოაწყდა: დიდი მიტინგი იყო დანიშნული. ყველანი აღფრთოვანებულნი იყვნენ, ხმა გავარდა, რომ ყრილობა-

ЗUA ! სულით და გულით მიძღვნილი მეორედაც შეწირულების და – დავუწმუნებ – უთაღლიდ!

მიხაკო წერეთელს მე არ ვრაცხ პოლიტიკოსად და მგონია მას არცთუ ესაჭიროება ეს ხელობა: რადგან ღმერთმა ვის რა მისცეს, დაუჯერდეს და მას უბრწყინდეს... ჩემი მისალმებით მიხაკო წერეთელს. მხოლოდ ერთ რამეს შევიტყობს: ის გვიყვარს, მას ვაფასებთ, მისით ვამაყობთ! მიხაკო წერეთელი სწავლულია, მეცნიერია, ქართველი ოლიმპიელის ზეგარდმო მადლით ცხებული!

მიხაკო წერეთელმა თითქმის მთელი ცხოვრება ევროპაში გაატარა, მაგრამ რა აქვს მას ევროპული, ფერიერ ცოდნისა?! აბა მოისმინეთ მისი ქართული, გეგონებათ ფეხზე ისევ აკრთეს ჩვენი ქვეყნის ორიობების მეტეორი, გუშინ ჩამოსულია!

მიხაკო წერეთელი მთელის არსებით შეჰხარის თავის სამშობლოს, მის ბუნებას, მის ზნესა და ჩვეულებას, მის ავსა და კარგს... და აკი კიდევაც იწვის და იდაგება მისი ბოღმით და ურვით!...

რ. ინგილო

პროფ. მიხეილ წერეთელს

გერმანიაში მყოფი ქართული საზოგადოების სახელით ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს სულით და გულით მოგესალმოთ თქვენი საიუბილეო წლის შესრულების გამო.

თქვენი გული მუდამ სძგერდა დატყვევებული სამშობლოსათვის. სამაგალითოა თქვენი დაუღალავი, უკომპრომისო ბრძოლა საქართველოს ეროვნულ უფლებათა აღდგენისა და დაცვისათვის და ამასთან დაკავშირებული თქვენი შესანიშნავი, ქართული სულით გამსჭვალული სამეცნიერო მოღვაწეობა. და ვასულები სამშობლო ღირსეულად დააფასებს თქვენს ეროვნულ ღვაწლს.

ღმერთმა კიდევ დიდ-ხანს, ჯანმრთელად და მხნედ, გვიმყოფოს თქვენი თავი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გერმანიაში მყოფ ქართველთა
საზოგადოების სახელით
ალ. კორძაია

# საქართველოში

„ერის თავისუფლების ჯვარის“ მიმართვა საქართველოს ყველა დამოუკიდებელ ჟურნალისტს!
მეგობრებო! კოლეგებო!

სამშობლოში არსებული მძიმე ვითარება მოითხოვს ჩვენ გაერთიანებას ერთ ასოციაციაში – საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა კავშირში. მხოლოდ ასეთ კავშირს ძალუძს ჟურნალისტიკისა და გამომცემლური საქმის მაღალ მორალურ და ტექნიკურ დონეზე წარმართვა.

საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი – სადღეისოდ და სამომავლოდ – ეროვნული მოძრაობაა. ეროვნული მოძრაობა საჭიროებს ტექნიკურად კარგად აღჭურვილ, დამოუკიდებელ, ობიექტურ, ძლიერ და მაღალზნეობრივ პრესას, რომელიც მას სიკეთის სამსახურს გაუწევს, როგორც სამშობლოს შიგნით, ისე მის გარეთაც.

დამოუკიდებელი ჟურნალისტები თვითონ წარმოადგენენ ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ყველაზე გათვითცნობიერებულ, თავის თავში გარკვეულ და ინფორმირებულ ნაწილს და მათი ასოციაცია უდაოდ გახდება მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ძალა, რომელიც გააფართოებს და გააძლიერებს ეროვნულ მოძრაობას.

მეგობრებო, გთხოვთ იანვრის ბოლომდე გამოაქვეყნოთ თქვენს ბეჭდვით ორგანოებში და/ან გამოგვიგზავნოთ მისამართით: 380060, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №6, ბინა 50, დ.ამირეჯიბს, თქვენი თვალსაზრისი და კონკრეტული წინადადებები, დამოუკიდებელ ჟურნალისტთა კავშირის ორგანიზაციის თაობაზე, კავშირის წესდებისა და პროგრამის მხოლოდ ძირითადი, პრინციპული დებულებების, აგრეთვე ჩვენი მომავალი შეხვედრის დროისა და ადგილის შესახებ.

ჩვენ შევეცდებით თავი მოვუყაროთ თქვენს წინადადებებს და გამოვაქვეყნოთ ისინი თებერვლის პირველ რიცხვებში, ჩვენს გაზეთში "სამრეკლო" და/ან გამოგიგზავნით მისამართით, რომელსაც თქვენ მოგვაწვდით.

მეგობრებო, გთხოვთ ნუ შეეცდებით კავშირის შექმნას დროზე ადრე, ვინაიდან დამოუკიდებელ ჟურნალისტთა კავშირის შექმნა უნდა მოხდეს საერთო ინიციატივით. გაზეთებისა და ჟურნალების უმრავლესობამ უნდა მოასწროს თავისი თვალსაზრისისა და წინადადებების გამოთქმა. კავშირი უნდა შეიქმნას დემოკრატიული გზით, ასევე დემოკრატიულად უნდა ავირჩიოთ ჩვენი გამგეობა და თავმჯდომარე.

დავით ამირეჯიბი, მევლუდ ბასილაური, კახა კენკიშვილი,
სპარტაკ ჭილიკაური.

გილოცავთ ქრისტეს შობის დღეს!
ის ყოფილიყოს ჩვენი მფარველი!

დედაქალაქი.
25.12.1989 წ.

ახლახანს დაარსდა დამოუკიდებელი გამომცემლობა „თავისუფალი აზრი“. გამომცემლობის მიზანია დაბეჭდოს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ და მისი დამატება „ეროვნული საუბარი“. დამოუკიდებელი გამომცემლობა გაზეთებს გაავრცელებს მხოლოდ ხელმოწერით. იმასთან დაკავშირებით, რომ „თავისუფალი აზრის“ მთავარი რედაქტორი გახდა ირაკლი შენგელაია, საქართველოს ეროვნული სამართლიანობის პარტიის გაზეთებს „უწყებანსა“ და „დღესს“ ეყოლება ახალი რედაქტორები.

„საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდება

ისტორიული მასალები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ

რესპუბლიკანიზმის იდეებსა და მათი გავრცელების შესახებ საქართველოში

სხვადასხვა თვალსაზრისი საქართველოს მომავალი რესპუბლიკის პოლიტიკური სტრუქტურის შესახებ

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციისა და მსოფლიო სახელმწიფოების კონსტიტუციათა შესახებ

საქართველოს საკითხის, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ